



კვლევითი დეპარტამენტი

ანალიტიკური განყოფილება

კანონპროექტისთვის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“

ზოგადი მიმოხილვა

იურიდიული თვალსაზრისით მოქალაქეობა არის სამართლებრივი კავშირი პირსა და სახელმწიფოს შორის¹. ზოგადად მოქალაქე არის პირი, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ძალაუფლებას და პროტექციას და, შესაბამისად, ამ სახელმწიფოს მიმართ გააჩნია კანონით დადგენილი სამოქალაქო უფლება-მოვალეობები. მოქალაქე პატივს სცემს იმ საზოგადოების წეს-ჩვეულებებს, რომელსაც ის მიეკუთვნება.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველი მოქალაქე პოლიტიკური სუვერენიტეტის ნაწილის მფლობელია; სწორედ ასეთი მოქალაქეების ერთობლიობა ირჩევს ხელისუფლებას.

მოქალაქის სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური უფლებები, ასევე მისი მოვალეობები დგინდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც იგი ცხოვრობს.

მოქალაქეობის მიღება

სხვადასხვა ქვეყანაში მოქალაქეობის მოპოვება განსხვავებული წესებით ხდება.

¹ სიტყვა „მოქალაქე“ წარმოიშვა საბინური სიტყვიდან *quiris*, რაც ლათინურად წვეტიან ისარს ნიშნავს. რომში მხოლოდ მოქალაქეს ეძლეოდა არმიაში სამსახურის და ამ ტიპის იარაღის ტარების პრივილეგია.

1. **მოქალაქეობის მიღება დაბადებით:** პირი ქვეყნის მოქალაქეობს იღებს იმ სახელმწიფოში, სადაც დაიბადა. ამ უფლების სამართლებრივი ტერმინია „*jus soli*“ („მიწის უფლება“)².

ეროვნული თუ რეგიონული იდენტურობის განსაზღვრებით “მიწის უფლება” ნიშნავს ქვეყნისათვის მიკუთვნებას იქ რეზიდენტობის, მუშაობის და ცხოვრების გამო.

“მიწის უფლება” მეტნაკლები განსხვავებებით ვრცელდება შემდეგ ქვეყნებში:

- *ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში:* არგენტინა, ბრაზილია, კანადა, კოლუმბია, აშშ, იამაიკა, მექსიკა, ურუგვაი.
- “მიწის უფლების” თანახმად, *საფრანგეთის* მოქალაქეობა საფრანგეთის ტერიტორიაზე დაბადებულ ყველა ბავშვს ენიჭება.
- *გერმანიაში* “მიწის უფლება” 2000 წლის შემდეგ შემოიღო, მხოლოდ იმათთვის, ვისი მშობლებიც გარკვეული პერიოდის მანძილზე გერმანიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.
- *დიდ ბრიტანეთში* ბავშვი “მიწის უფლებას” მოიპოვებს იმ შემთხვევაში თუ მის ერთ-ერთ მშობელს მაინც ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების უფლება აქვს.
- *ლუქსემბურგში* მოქალაქეობის შესახებ ახალ კანონს 2008 წლის ოქტომბერში უყარეს კენჭი. შემოიღეს “მიწის უფლება”, მაგრამ შეზღუდული ფორმით.

ევროპის დანარჩენი ქვეყნების უმეტესობაში “მიწის უფლება” არ ვრცელდება.

2. **მოქალაქეობის მიღება მემკვიდრეობით:** ქვეყნის მოქალაქეობა გადადის შვილზე იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი მშობელი მაინც ამ ქვეყნის მოქალაქეა, მიუხედავად ბავშვის დაბადების ადგილისა. ამ უფლების სამართლებრივი ტერმინია „*jus sanguinis*“³ (სისხლის უფლება).

² “მიწის უფლებას” ვხვდებით ძველ რომშიც, მაგრამ ამ ტერმინს თანამედროვე დატვირთვა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ მიეცა.

³ ლათინური სიტყვაა და სისხლის უფლებას ნიშნავს. ამ წესის მიხედვით ბავშვი მოქალაქეობას მოიპოვებს მშობლების ეროვნების მიხედვით.

3. **მოქალაქეობის მიღება ნატურალიზაციით:** ეს არის მოქალაქეობის მოპოვების პროცესი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. ბევრი ქვეყნის კანონებში ნატურალიზაციის მთავარი მოთხოვნები - რეზიდენტობის ვადა, სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმა, ქვეყნის ენისა და წეს-ჩვეულებების ცოდნა და სხვა - ერთმანეთის მსგავსია.
4. **მოქალაქეობის მიღება ქორწინებით:** ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მეუღლის მოქალაქეობის მოპოვების უფლებას იძლევა ნატურალიზაციის მოთხოვნების შერბილებით.
5. **მოქალაქეობის მიღება ცნობით (აღიარებით)**
 მოქალაქეობის ცნობა (აღიარება) გულისხმობს ყოფილ საბჭოთა კავშირში მცხოვრები მოქალაქეების მიერ იმ რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებას სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის ისინი ცხოვრობდნენ. მაგალითად, სომხეთში მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეები, რომლებმაც არ მიიღეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ავტომატურად გახდნენ სომხეთის მოქალაქეები.
6. **ორმაგი მოქალაქეობა:** ორმაგი მოქალაქეობა ერთდროულად ორი ქვეყნის მოქალაქეობის ფლობას ნიშნავს. სხვადასხვა ქვეყანაში ეს პროცესი განსხვავებული წესით რეგულირდება. ორმაგი მოქალაქეობის მიღების საფუძველი შეიძლება იყოს:
 - სხვა ქვეყნის მოქალაქეზე დაქორწინება.
 - სხვა ქვეყნის მოქალაქის მიერ შვილად აყვანა.
 - პირის ისეთ ქვეყანაში დაბადება, რომელიც მოქალაქეობას დაბადებისთანავე ანიჭებს, მისი მშობლები კი იმ ქვეყნიდან არიან რომლის კანონმდებლობითაც მოქალაქეობა მემკვიდრეობით მიიღება.

მოქალაქეობის დაკარგვა:

მოქალაქეობის შეწყვეტა შეიძლება მოხდეს ნებაყოფლობით ან იძულებით.

მოქალაქეობის ნებაყოფლობით შეწყვეტა: ზოგიერთი ქვეყნის კანონის შესაბამისად, მოქალაქეებს შეუძლიათ ნებაყოფლობით თქვან უარი მოქალაქეობაზე. ასეთ შემთხვევაში, პირმა სათანადო დოკუმენტები უნდა წარადგინოს საელჩოში ან საკონსულოში, ზოგი ქვეყნის

კანონმდებლობის მიხედვით კი აუცილებელია საბუთების იმ ქვეყანაში შედგენა, რომლის მოქალაქეობაზეც პირი უარს ამბობს.

მოქალაქეობის იძულებით შეწყვეტა: მოქალაქეობის იძულებითი შეწყვეტის ძირითად მიზეზები შეიძლება იყოს:

- დიდი დროით სხვა სახელმწიფოში ცხოვრება თავისი ქვეყნის საკონსულოში აღრიცხვის გარეშე;
- მოქალაქეობის მიღება დარღვევით ან ყალბი საბუთებით;
- სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით პირი კარგავს მოქალაქეობას, თუ იგი ნებაყოფლობით მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას. ზოგიერთ ქვეყანაში მოქალაქეობის დატოვებას „ნებაყოფლობითად“ არ მიიჩნევენ თუ პირი არ გააკეთებს განცხადებას სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე.⁴

ორმაგი მოქალაქეობა

ბევრი ქვეყანა არ ცნობს ორმაგ მოქალაქეობას, რადგან ერთი ქვეყნის მიერ განსაზღვრული მოვალეობები შესაძლოა კონფლიქტში მოდიოდეს მეორე ქვეყნის კანონმდებლობასთან. მაგალითად, სამხედრო ვალდებულებები. ორმაგმა მოქალაქეობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს დიპლომატიურ ან საკონსულო ხელშეუხებლობას.

ორმაგი მოქალაქეობა მიიღება:

1. **დაბადებით:** უცხოეთში დაბადებული ბავშვი, მაგ. აშშ-ში, იღებს არამარტო აშშ-ს მოქალაქეობას (jus solis), არამედ მშობლების ქვეყნის მოქალაქეობასაც (jus sanguinis).
2. **ქორწინებით:** ორმაგი მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია ქორწინების შემდეგ, როცა პირი ავტომატურად მოიპოვებს მისი მეუღლის ქვეყნის მოქალაქეობას.

⁴ ავსტრიაში პირი ავტომატურად იღებს მოქალაქეობას, თუ მას ავსტრიის უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე დანიშნავენ. ზოგიერთ ქვეყნის კანონმდებლობით ეს არის „არანებაყოფლობითი“ მოქალაქეობა და ამის გამო პირი არ კარგავს თავისი ქვეყნის მოქალაქეობას. ზოგი ქვეყნის კანონმდებლობით კი, თუ ასეთ შემთხვევაში პირმა უარს არ იტყვის ახალი მოქალაქეობის მიღებაზე, ის პირვანდელ მოქალაქეობას დაკარგავს.

3. **ნატურალიზაციით:** ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა უფლებას აძლევს მოქალაქეს, რომელიც მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, შეინარჩუნოს თავისი პირველადი ქვეყნის მოქალაქეობა (სახელმწიფომ, რომელიც მეორე მოქალაქეობას იძლევა, შესაძლოა არ მოითხოვოს პირისგან პირვანდელ მოქალაქეობაზე უარის თქმა).
4. **ხელშეკრულებით:** ზოგიერთ ქვეყნებს ერთმანეთთან დადებული აქვთ ხელშეკრულება, რომელიც თავიანთი მოსახლეობისთვის ორმაგი მოქალაქეობის ცნობას ითვალისწინებს.
5. **ორმაგი მოქალაქეობის მიღება კანონის გვერდის ავლით:** პირი, რომელიც ნატურალიზებულია სხვა სახელმწიფოში წარმოშობის ქვეყნასთან შეთანხმების გარეშე, ინარჩუნებს საწყის მოქალაქეობასაც.

ორმაგი მოქალაქეობის უფლებები უპირობოდაა აღიარებული (ავსტრალია, ბუნგარეთი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ესპანეთი⁵, ისრაელი, საფრანგეთი, კანადა);

ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა ორმაგ მოქალაქეობას უშვებს გარკვეული პირობებით (ბელგია, იტალია, ნიდერლანდები, აშშ, რუსეთის ფედერაცია);

ზოგან კი ორმაგი მოქალაქეობა აკრძალულია (ნორვეგია, ბელგია, შვედეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, გერმანია და ა.შ.).

ორმაგ მოქალაქეობასთან უამრავი პრობლემაა დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა ეს არის დიპლომატიური საკითხები, ორმაგი მოქალაქეობის პირების დაბეგვრა, სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესრულება, სამართლებრივი სტატუსი და ა.შ.

საერთაშორისო დონეზე ორმაგი მოქალაქეობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია: *1930 წლის კონვენცია* მოქალაქეობის კანონებში არსებულ წინააღმდეგობების შესახებ და *1997 წლის ევროპული კონვენცია „მოქალაქეობის შესახებ“*.

⁵ ესპანეთის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნას შეუძლია ხელშეკრულებები დადოს მათი მოქალაქეებისათვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით ლათინური ამერიკის ან იმ ქვეყნებთან, რომელთაც განსაკუთრებული კავშირები აქვთ ესპანეთთან. ასეთ ქვეყნებში ესპანელებს შეუძლიათ მიიღონ მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით, საკუთარი მოქალაქეობის დაკარგვის გარეშე.

1997 წლის ევროპის კონვენცია „მოქალაქეობის შესახებ“

1997 წლის ევროპის კონვენცია „მოქალაქეობის შესახებ“ პირველ რიგში ითვალისწინებს თითოეული სახელმწიფოსა და მოქალაქის კანონიერ ინტერესებს. კონვენცია ადგენს ფიზიკური პირების მოქალაქეობასთან დაკავშირებულ წესებსა და პრინციპებს, განსაზღვრავს ორმაგი მოქალაქეობის დროს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის მარეგულირებელ წესებს.

კონვენციის მიხედვით, ნებისმიერ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება და ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია არ დაუშვას აპატრიზმი⁶. ასევე მოქალაქეობის მინიჭების დროს დაუშვებელია პირის დისკრიმინაცია მისი სქესის, რასის, კანის ფერის და ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილებების მიხედვით.

კონვენციაში ასახულია მოქალაქეობის მინიჭების, დაკარგვის ან აღდგენის პროცედურები. ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა ამ კონვენციას, ორმაგ მოქალაქეობას უშვებს შემდეგ შემთხვევებში:

1. როდესაც პირი ავტომატურად იღებს რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობას დაბადებიდანვე („სისხლის“ და „მიწის“ პრინციპებზე დაყრდნობით),
2. როდესაც პირი ქორწინდება და ავტომატურად იღებს მეორე ქვეყნის მოქალაქეობას.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს გააჩნია ყველა ის უფლება და მოვალეობა, რომლებიც აქვთ თითოეული ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

ევროპის კონვენციაში „მოქალაქეობის შესახებ“, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის საკითხი შემდეგნაირად არის გადაწყვეტილი: თუ პირი ერთდროულად არის ზემოაღნიშნული კონვენციის წევრი ორი ან ორზე მეტი ქვეყნის მოქალაქე, იგი სამხედრო სავალდებულო სამსახურს გაივლის მხოლოდ ერთ-ერთ ქვეყანაში (გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნებს შორის სპეციალური ორ- ან მრავალმხრივი ხელშეკრულებით). კონვენციის მიხედვით პირი

⁶ მოქალაქეობის არქონა

სამხედრო სავალდებულო სამსახურს გაივლის იმ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიაზეც იგი მუდმივად ცხოვრობს. ამით ეს პირი ვალდებულია ითვლება ყველა იმ დანარჩენი სახელმწიფოების მიმართაც, რომლის მოქალაქესაც იგი იმავდროულად წარმოადგენს.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ისეთ ქვეყანაში, სადაც სამხედრო სამსახური სავალდებულო არ არის, სამხედრო სამსახურმოხდილებად ითვლებიან. მაგრამ, თუკი ასეთი პირი საცხოვრებლად გადავა მეორე ქვეყანაში, სადაც სამხედრო სამსახური სავალდებულოა, მან უნდა გაიაროს სამხედრო სამსახური, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქემ (ცხადია, თუ მიღწეული არ იქნება ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ სამხედრო ვალდებულების ზღვრულ ასაკს).

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის კონვენცია „მოქალაქეობის შესახებ“ თითქმის ყველა ძირეულ საკითხს მიმოიხილავს, რჩება პრობლემები, რომელთა გადაჭრა მხოლოდ ქვეყნებს შორის ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე წყდება.

ცალკეული ქვეყნის მაგალითზე განვიხილოთ, თუ როგორ რეგულირდება მოქალაქეობის მიღება და რა გასხვავებულ წესებს ვხვდებით მისი მოპოვებისას.

ამერიკის შეერთებული შტატები

მოქალაქეობის საკითხები რეგულირდება „მოქალაქეობის შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების კანონით და აშშ-ს სახელმწიფო კოდექსის მე-8 თავით.

კანონმდებლობის თანახმად ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობის მოპოვება ხდება:

- **დაბადებით:** ბავშვი, რომელიც გაჩნდება აშშ-ს ტერიტორიაზე ხდება ქვეყნის მოქალაქე მიუხედავად მისი მშობლების მოქალაქეობისა.
- **მემკვიდრეობით:**
 - უცხოეთში გაჩენილი ბავშვი, რომლის მშობლებიც აშშ-ს მოქალაქეები არიან.

- უცხოეთში გაჩენილი ბავშვი, რომლის ერთი მშობელი ამერიკის მოქალაქეა და ცხოვრობდა აშშ-ში 5 წელი მაინც ბავშვის დაბადებამდე, ხდება ქვეყნის მოქალაქე.

- **ნატურალიზაციით:** ამერიკის მოქალაქეობა შესაძლოა მიიღოს იმ პირმა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს 18 წლის, 5 წელი მაინც უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაში როგორც კანონიერი მუდმივი რეზიდენტი, შეეძლოს საუბარი, კითხვა და წერა ინგლისურ ენაზე, იცნობდეს ქვეყნის კულტურასა და ისტორიას და იცავდეს აშშ-ს კონსტიტუციის პრინციპებს.

- უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაქორწინდება აშშ-ს მოქალაქეზე, ესაჭიროება მხოლოდ აშშ-ში ცხოვრების 3 წლიანი პერიოდი, ამასთან უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ ჩამოთვლილ პირობებსაც.

ორმაგი მოქალაქეობა დაშვებულია.

1990 წლის 16 აპრილს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით ახალი პოლიტიკა შეიმუშავა. ამ პოლიტიკის თანახმად, პირი, რომელიც უკვე არის აშშ-ს ქვეშევრდომი და მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, აშშ-ს მოქალაქეობას დაკარგავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს თავად სურს.

შეერთებული შტატების კანონმდებლობა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს არ აიძულებს სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგ არჩევანი გააკეთონ მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობაზე.

აშშ მოქალაქეობის შეწყვეტა შესაძლებელია:

- **ნებაყოფლობით:** კანონის მიხედვით აშშ-ს მოქალაქეობაზე უარის თქმა დასაშვებია, თუმცა ეს უნდა მოხდეს აშშ-ს გარეთ იმ ქვეყნის საკონსულოში, რომლის მოქალაქეობასაც ითხოვს პირი.
- **იძულებით:** მოქალაქეობა ჩამოერთმევა პირს, რომელიც:
 - უღალატებს ქვეყანას.
 - დადებს ერთგულების ფიცს სხვა ქვეყნის წინაშე.

- მსახურობს იმ ქვეყნის არმიაში, რომელიც ომს აწარმოებს ამერიკის წინააღმდეგ.

დიდი ბრიტანეთი

მოქალაქეობა: დიდი ბრიტანეთის ისტორიული კავშირები აქვს ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებსა⁷ და ყოფილ კოლონიებთან (რომელშიც გაერთიანებულია 53 ქვეყანა) რომელშიც ხალხის ჯგუფები ერთიანდებიან სხვადასხვა კატეგორიად.

მოქალაქეობის მოთხოვნა და სპეციალური უფლებები ამ ჯგუფისთვის რიგითი უცხოელი მოქალაქის უფლებებისაგან ხშირად განსხვავებულია.

ამ სპეციალურ კატეგორიებს მიეკუთვნებიან:

- ბრიტანეთზე დამოკიდებული ტერიტორიების მოქალაქეები
(British Dependent Territories Citizens)
- ზღვისიქითა ბრიტანეთის მოქალაქეები
(British Overseas Citizens)
- ბრიტანეთის სუბიექტები⁸
(British Subjects)
- ბრიტანეთის მფარველობის ქვეშ მყოფი მოქალაქეები
(British Protected Persons)
- ბრიტანეთის თანამეგობრობის მოქალაქეები
(Commonwealth Citizens)
- ირლანდიის რესპუბლიკის მოქალაქეები
(Citizens of the Republic of Ireland)

1983 წლის 1 იანვარს *მოქალაქეობის შესახებ* კანონის მიხედვით ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია:

დაბადებით:

- ბავშვი, რომელიც გაჩნდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე და რომლის ერთ-ერთი

⁷ მოიცავს დიდ ბრიტანეთსა და ყოფილ დომინიონებს და კოლონიებს, ადრე დამოუკიდებელ სახელმწიფოებს (სხვადასხვა სტატუსით); ინგლისის დედოფალი ითვლება დამოუკიდებელი წევრ-სახელმწიფოების თავისუფალი ასოციაციის სიმბოლოდ.

⁸ ბრიტანეთის დედოფლის გვირგვინის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე დაბადებული პირი

მშობელი ბრიტანეთის მოქალაქეა, ან ცხოვრობს გაერთიანებულ სამეფოში

- ბავშვი, რომელიც გაჩნდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე და რომლის მშობლები ცნობილი არაა.

მემკვიდრეობით:

- ბავშვი, რომელიც გაჩნდა ზღვისიქითა ბრიტანეთში და რომლის ერთ-ერთი მშობელი ბრიტანეთის მოქალაქეა.
- ბავშვი, რომელიც დაიბადა გაერთიანებული სამეფოს გარეთ და აქვს ნათესაური კავშირები გაერთიანებულ სამეფოსთან.

სპეციალური კატეგორიები: ის ვინც მიეკუთვნება ზემოთ მითითებულ კატეგორიებს (ზღვისიქითა ბრიტანეთის მოქალაქე, ბრიტანეთის სუბიექტი, ბრიტანეთის მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყნის მოქალაქე, ბრიტანეთზე დამოკიდებული ტერიტორიების მოქალაქე) შეუძლია დარეგისტრირდეს როგორც ბრიტანეთის მოქალაქე თუ იგი კანონიერად ცხოვრობს ბრიტანეთის ტერიტორიაზე ხუთი წლის მანძილზე და აპლიკაციის შევსებამდე 12 თვის განმავლობაში ქვეყნაში ცხოვრობს.

ნატურალიზაციით ბრიტანეთის მოქალაქეობის მოსაპოვებლად საჭიროა შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:

- პირი უნდა ცხოვრობდეს გაერთიანებულ სამეფოში ხუთი წლის მანძილზე;
- პირი უნდა იყოს დაქორწინებული ბრიტანეთის მოქალაქეზე, ცხოვრობდეს გაერთიანებულ სამეფოში სამი წელი აპლიკაციის შევსებამდე, იცოდეს ინგლისური, უელსური ან შოტლანდიურ-გალური ენა.

ორმაგი მოქალაქეობა: დაშვებულია

ბრიტანეთის კანონმდებლობა უშვებს ორმაგ მოქალაქეობას. თუმცა ამისათვის საჭიროა გარკვეული პროცედურების გავლა. პირმა უნდა დაადასტუროს, რომ მას ნამდვილად აქვს უფლება ჰქონდეს მეორე ქვეყნის მოქალაქეობა.

იტალია

მოქალაქეობა: იტალიის მოქალაქეობის მიღების წესი განისაზღვრება მოქალაქეობის შესახებ კანონით.

იტალიის მოქალაქეობა მიიღება:

- **მემკვიდრეობით** – ბავშვი, რომლის ერთი მშობელი მაინც არის იტალიის მოქალაქე, მისი დაბადების ადგილის მიუხედავად ხდება იტალიის მოქალაქე;
- **დაბადებით** – ბავშვი, რომელიც გაჩნდება იტალიის ტერიტორიაზე ავტომატურად არ ხდება იტალიის მოქალაქე.
გამონაკლისი: უცნობი მშობლებისგან გაჩენილი ბავშვი, ასევე ბავშვი, რომელიც დაიბადა იტალიაში, ლეგალურად ცხოვრობს მის ტერიტორიაზე და 18 წლის ასაკის მიღწევისას ხდება მოქალაქე.
- **ქორწინებით** – პირს, რომელიც იტალიელი ეროვნების მოქალაქესთან დაქორწინდება და რაიმე დანაშაულისთვის არ იქებნება, უფლება აქვს მოითხოვოს მოქალაქეობა.
- **ნატურალიზაციით** – პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვეყანაში კანონიერი რეზიდენტობის გარკვეულ პერიოდებს, უფლება აქვთ მიიღონ იტალიის მოქალაქეობა. ეს პერიოდები სხვადასხვა კატეგორიისათვის განსხვავებულია:
 - იტალიის მოქალაქეებთან ნათესაური კავშირის მქონე პირებისთვის - სამი წელია;
 - ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეებისთვის - ოთხი წელი.
 - ლტოლვილებისთვის, სრულწლოვანი უცხოელებისთვის რომლებიც იტალიელებმა იშვილეს და პირებისათვის, რომლებიც უცხოეთში მუშაობდნენ და იტალიას ემსახურებოდნენ - ხუთი წელი.
 - ვინც ჩამოთვლილ კატეგორიებს არ განეკუთვნება, მათთვის ათი წელი.

ორმაგი მოქალაქეობა დაშვებულია იტალიის პარლამენტის მიერ „მოქალაქეობის შესახებ“ კანონში 1992 წლის 16 აგვისტოს შეტანილი შესწორებების თანახმად. ამასთანავე, იმ პირებმა, რომლებმაც კანონში შესწორებების შეტანამდე მიიღეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და, აქედან გამომდინარე, ავტომატურად დაკარგეს იტალიის მოქალაქეობა, შეუძლიათ

დაიბრუნონ იტალიის მოქალაქეობა, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნებით.

იტალიის კანონმდებლობის მიხედვით პირი, რომელმაც მიიღო მეორე ქვეყნის მოქალაქეობა (ან აპირებს მიღებას), ვალდებულია ამის თაობაზე განცხადება შეიტანოს სამოქალაქო აღრიცხვის ორგანოებში. ეს პროცედურა უნდა შესრულდეს მეორე მოქალაქეობის მიღების დღიდან არაუგვიანეს სამი თვეში.

იტალიის მოქალაქეები, რომლებსაც მეორე ქვეყნის მოქალაქეობის მიღება სურთ და ამ მოქალაქეობის მიღების პერიოდში საზღვარგარეთ იმყოფებიან, ვალდებულნი არიან ასეთივე განაცხადით მიმართონ იტალიის საკონსულოს.

მოქალაქეობის შეწყვეტა:

- **ნებაყოფლობით** მოქალაქეობაზე უარის თქმა დაშვებულია იტალიის კანონმდებლობით.
- **იძულებით მოქალაქეობის დაკარგვა** ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირი ნებაყოფლობით ეწერება უცხო ქვეყნის სამხედრო სამსახურში, (განსაკუთრებით, თუ ეს ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია იტალიასთან).

საფრანგეთი

მოქალაქეობა მიიღება საფრანგეთის სახელმწიფო კოდექსზე (French Nationality Code) დაყრდნობით:

- **დაბადებით** – საფრანგეთის ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვი, მიუხედავად მშობლების წარმომავლობისა ხდება საფრანგეთის მოქალაქე.
- **მემკვიდრეობით** – უცხოეთში დაბადებული ბავშვს, რომლის ერთი მშობელი მაინც საფრანგეთის მოქალაქეა, ხდება საფრანგეთის მოქალაქე.
- **ქორწინებით** – საფრანგეთის მოქალაქის მეუღლეს მოქალაქეობის მიღება შეუძლია ქვეყანაში ცხოვრების ერთი წლის შემდეგ საცხოვრებლის უფლების მოთხოვნის გარეშე.

- **ნატურალიზაციით** – ამ წესით მოქალაქეობის მისაღებად აუცილებელია რეზიდენტობის გარკვეული პირობების დაკმაყოფილება:
 - ქვეყანაში ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრება;
 - საფრანგეთის უნივერსიტეტში მუშაობის შემთხვევაში –ორი წლის განმავლობაში ცხოვრება.

ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია ზემოჩამოთვლილი პირობების გარეშეც, თუ პირი:

- გამორჩეულ სამსახურს გაუწევს ქვეყანას.
- იმსახურებს საფრანგეთის არმიის საბრძოლო დანაყოფში.
- არის მეუღლე მცირეწლოვანი ბავშვის მშობლისა, რომელმაც მოიპოვა საფრანგეთის მოქალაქეობა.

ორმაგი მოქალაქეობა: დაშვებულია

საფრანგეთის სახელმწიფო კოდექსი უშვებს ორმაგ მოქალაქეობას ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

საფრანგეთში მოქმედებს „jus solis“ („მიწის უფლება“), აქედან გამომდინარე, საფრანგეთის ტერიტორიაზე დაბადებული ნებისმიერი პირი უკვე საფრანგეთის მოქალაქედ ითვლება.

ესპანეთი

მოქალაქეობა: *ესპანეთში მოქალაქეობა რეგულირდება* სამოქალაქო კოდექსის (“Codigo Civil”) გარკვეული მუხლებით. კანონის თანახმად ესპანეთის მოქალაქეობა მიიღება:

- **დაბადებით** – მართალია, ესპანეთის ტერიტორიაზე დაბადება ავტომატურად არ ნიშნავს ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას, მაგრამ გამონაკლისია უცნობი მშობლებისგან ან მოქალაქეობის არმქონე პირისაგან გაჩენილი ბავშვი.
- **მემკვიდრეობით** – ბავშვი, რომლის ერთი მშობელიც ესპანეთის მოქალაქეა იღებს ესპანეთის მოქალაქეობას, მიუხედავად დაბადების ადგილისა.
 - ბავშვი, რომლის მშობლები არ არიან ესპანეთის მოქალაქეები, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი დაბადებულია ესპანეთში, იღებს ესპანეთის მოქალაქეობას.

- **ნატურალიზაციით** ესპანეთის მოქალაქეობის მიღების მსურველი პირი გარკვეულ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებს:
 - ესპანეთის მოქალაქეებთან ნათესაური კავშირების არ ქონის შემთხვევაში, 10 წელი უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაში.
 - პორტუგალიის, ფილიპინების ან სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში, საკმარისია ესპანეთში ცხოვრების ორი წელი.
 - თუ ჰყავს ესპანელი მეუღლე ან უცხოეთში დაიბადა დედით ან მამით ესპანელის ოჯახში, ქვეყანაში ცხოვრების მხოლოდ ერთი წელი ესაჭიროება.

ორმაგი მოქალაქეობა: არაა დაშვებული

ესპანეთში ორმაგი მოქალაქეობა ოფიციალურად არ არის ნებადართული. თუმცა, ესპანეთს დადებული აქვს ორმხრივი ხელშეკრულებები ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, რომლითაც გვარდება ორმაგი მოქალაქეობის საკითხები. ეს ქვეყნებია: ბოლივია, ჩილე, ეკვადორი, კოსტა რიკა, გვატემალა, ნიკარაგუა, პარაგვაი, პერუ, დომინიკანული რესპუბლიკა, არგენტინა და ჰონდურასი. ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისთანავე ესპანეთის მოქალაქეს ჩამოერთმევა ესპანეთის მოქალაქეობა.

მოქალაქეობის შეწყვეტა ნებაყოფლობით – ესპანეთის მოქალაქეობაზე უარის თქმა ნებადართულია ესპანეთის კანონმდებლობით.

იძულებით მოქალაქეობის დაკარგვა ხდება, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში (ზემოჩამოთვლილი ლათინოამერიკული ქვეყნების გამოკლებით).

გერმანია

მოქალაქეობა: *მოქალაქეობის შესახებ* კანონით გერმანიის მოქალაქეობის მიღება ეფუძნება მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპს (“jus sanguinis”). 2000 წლის 1 იანვარს მიღებული

კანონით მოქალაქეობის მიღება შესაძლებელი გახდა „მიწის უფლების“ („jus solis“) პრინციპითაც.

გერმანიაში მოქალაქეობა მოიპოვება:

- **დაბადებით** – გერმანიაში დაბადება პირს ავტომატურად არ აძლევს მოქალაქეობას, გარდა შემთხვევისა, როცა ერთ-ერთი მშობელი მაინც ქვეყანაში რვა წელი ცხოვრობს.
- **მემკვიდრეობით** გერმანიის მოქალაქე ხდება:
 - ქორწინებით გაჩენილი ბავშვი, თუ მამა ან დედა გერმანიის მოქალაქეა.
 - ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვი, რომლის დედაც გერმანიის მოქალაქეა, მამას კი არა აქვს მოქალაქეობა ან უცნობია.
 - ქორწინების გარეშე უცხოელი ქალისაგან გაჩენილი ბავშვი, რომლის მამა გერმანელია და რომელიც ბავშვს საკუთარ შვილად ცნობს.
- **ნატურალიზაციით** გერმანიის მოქალაქეობის მისაღებად აუცილებელია ქვეყანაში ცხოვრების რვა წლიანი პერიოდი.

ორმაგი მოქალაქეობა არ არის დაშვებული,

გარდა შემდეგი გამონაკლისებისა

- გერმანიის მოქალაქეს, რომელიც უცხოეთში სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მოიპოვებს, სურვილის შემთხვევაში შეუძლია დაინარჩუნოს პირველადი (გერმანიის) მოქალაქეობა, თუ ამის თაობაზე გერმანიის ხელისუფლებისგან მიიღებს შესაბამის დეკრეტს.
- 2000 წლის 1 იანვრიდან კანონი *მოქალაქეობის შესახებ 23 წლის ასაკამდე* ორმაგ მოქალაქეობას უშვებს იმ არაგერმანელი ბავშვებისთვის, რომლებიც გერმანიის ტერიტორიაზე დაიბადნენ. ამ ასაკის მიღწევის შემდეგ, მათ თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეობა სურთ.

მოქალაქეობის შეწყვეტა ხდება:

- **ნებაყოფლობით** – კანონის მიხედვით გერმანიის მოქალაქემ პეტციით უნდა მიმართოს გერმანიის მთავრობას (ან გერმანიის უახლოეს საელჩოს) მოქალაქეობის დატოვების თაობაზე, თუ მას სხვა

ქვეყნის მოქალაქეობაზე უცხოეთის სახელმწიფოსგან თანხმობა აქვს მიღებული.

- **იძულებით:** უცხოეთის მოქალაქეობის მიღებით პირი კარგავს გერმანიის მოქალაქეობას (გერმანიის მთავრობიდან გაცემული დეკრეტის მიღების გარეშე).

ქვეყნების უმრავლესობაში, ძირითადად, ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მოპოვების კრიტერიუმებია განსხვავებული. ვნახოთ თუ როგორია ეს პირობები სხვადასხვა ქვეყანაში.

ნატურალიზაციით მოქალაქეობის მისაღებად:

ავსტრიაში:

- პირი უნდა ცხოვრობდეს ავსტრიაში ბოლო 10 წლის განმავლობაში.
- ავსტრიის უნივერსიტეტში უნდა ეკავოს პროფესორის თანამდებობა.
- იყოს ავსტრიის მოქალაქის მეუღლე და ცხოვრობდეს ავსტრიაში მინიმუმ 5 წლის განმავლობაში.

აზერბაიჯანში:

- პირი უნდა ცხოვრობდეს აზერბაიჯანში ბოლო 5 წლის მანძილზე და ჰქონდეს აზერბაიჯანული ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

(აზერბაიჯანის მოქალაქეობას ვერ მიიღებს პირი, რომელიც მოუწოდებს ხალხს სახელმწიფო წყობის იძულებითი შეცვლისაკენ, ჩადის ქმედებებს, რომელიც ზიანს აყენებს სახელმწიფო უსაფრთხოებას, საზოგადოებრივი სიმშვიდის შენარჩუნებას, პროპაგანდას უწევს რასობრივ, რელიგიურ და ეროვნულ განსაკუთრებულობას, დაკავშირებულია ტერორისტულ საქმიანობასთან).

ბელარუსში:

- პირს უნდა შეეძლოს ბელარუსულ ენაზე საუბარი.
- ცხოვრობდეს ბელარუსის ტერიტორიაზე ბოლო 7 წლის მანძილზე.
- ჰქონდეს კანონიერი შემოსავლის წყარო.

- არ უნდა ქონდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და იცავდეს ბელარუსის კონსტიტუციასა და კანონებს. ბელარუსის სახელმწიფოს მიერ ლტოლვილად ჩათვლილი პირები 7 წლის მუდმივად ცხოვრების შემდეგ მიიღებენ მოქალაქეობას. (ბელარუსული წარმომავლობის ხალხს და მათ შთამომავლებს ბელარუსის საზღვრებს გარეთ დაბადებულებს, ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვა არ ეხება)

ბულგარეთში:

- პირი უნდა ცხოვრობდეს ბულგარეთში ბოლო 5 წლის მანძილზე. (განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა პირს აქვს დამსახურება ბულგარეთის სახელმწიფოს წინაშე, ან არის ეროვნებით ბულგარელი, ეს შეზღუდვა არ ეხება.)

ესტონეთში:

- პირი უნდა იყოს 15 წლის.
- უნდა ფლობდეს ესტონურ ენას, იცოდეს კანონმდებლობა. (ესტონური ენის ცოდნის კრიტერიუმები განმარტებული და მოცემულია კანონშივე).
- ცხოვრობდეს ესტონეთში მუდმივად 5 წლის მანძილზე.
- ქონდეს მუდმივი, კანონიერი შემოსავლის წყარო
- იყოს ლოიალური ესტონეთის სახელმწიფოს მიმართ.
- დადოს ფიცი.

პირი არ მიიღება მოქალაქედ თუ ჩადენილი აქვს სერიოზული დანაშაული, ან უცხო ქვეყნის სამხედრო სამსახურშია.

უნგრეთში:

- პირი უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაში ბოლო 8 წლის განმავლობაში მაინც, თუ ეთნიკურად უნგრეთთან არაა დაკავშირებული.
- უცხოელს, რომელიც ქორწინდება უნგრეთის მოქალაქეზე, ან არის უნგრელი არასრულწლოვანი ბავშვის მშობელი, ან რომელიც ცნობილ იქნა როგორც ლტოლვილი უნგრეთის ხელისუფლების მიერ, სჭირდება ქვეყანაში ცხოვრების 3 წლიანი ვადა.
- ეთნიკურ უნგრელებს, რომლებიც სხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ, სჭირდებათ უნგრეთში ცხოვრების მხოლოდ 1 წლიანი ვადა.

ლატვიაში:

- პირი 5 წელი მუდმივად უნდა ცხოვრობდეს ლატვიაში.
- სრულყოფილად უნდა ფლობდეს ლატვიურ ენას.
- უნდა იცოდეს ლატვიის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები და კონსტიტუციური კანონი “მოქალაქეთა და პირთა უფლებები და მოვალეობები”.
- უნდა იცოდეს ეროვნული ჰიმნის ტექსტი და ლატვიის ისტორია.
- უნდა ქონდეს კანონიერი შემოსავლის წყარო.
- უნდა იყოს ღოთიანური ლატვიის რესპუბლიკის მიმართ.

ლიტვაში:

- პირმა უნდა ჩააბაროს გამოცდა ლიტვურ ენაში და უნდა გამოამჟღავნოს კონსტიტუციის ძირითადი ცოდნა. (ცოდნის კრიტერიუმებს და პროცედურებს ადგენს ლიტვის მთავრობა).
- უნდა ცხოვრობდეს ბოლო 10 წელი ლიტვაში.
- ქონდეს მუდმივი სამუშაო ადგილი ან შემოსავლის კანონიერი წყარო.
- უნდა იყოს მოქალაქეობის არმქონე ან უარყოფილი უნდა ქონდეს წინა მოქალაქეობა.

მოლდოვაში:

- მუდმივად უნდა ცხოვრობდეს მოლდოვაში ბოლო 10 წლის განმავლობაში.
- მოლდოვის მოქალაქეზე დაქორწინების შემთხვევაში - მოლდოვაში უნდა ცხოვრობდეს ბოლო 3 წელი.
- თუ ლტოლვილია - მოლდოვაში უნდა ცხოვრობდეს ბოლო 8 წელი.
- უნდა იცოდეს ენა და კონსტიტუცია (ენის ცოდნას ადგენს კანონი “მოქალაქეობის შესახებ”)
- არ უნდა ჰქონდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

პოლონეთში:

- უნდა ცხოვრობდეს პოლონეთში ბოლო 5 წლის მანძილზე.
- უნდა წარმოადგინოს დასტური წინა მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ.

(გამონაკლისი შემთხვევაა, როცა პრეზიდენტს შეუძლია უბოძოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის მოქალაქეს).

რუსეთში:

- რუსეთის ტერიტორიაზე უნდა ცხოვრობდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში.
- უნდა დადოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დაცვის პირობა.
- უნდა იცოდეს რუსული ენა

სომხეთში:

- პირი უნდა იყოს 18 წლის.
- უნდა ცხოვრობდეს სომხეთში ბოლო 3 წელი.
- უნდა შეეძლოს სომხურად საუბარი.
- უნდა იცოდეს სომხეთის კონსტიტუცია.

უკრაინაში:

- პირი ვალდებულია დაიცვას უკრაინის კონსტიტუციისა და კანონების მოთხოვნები.
- არ უნდა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე.
- უნდა ცხოვრობდეს უკრაინის ტერიტორიაზე ბოლო 5 წლის მანძილზე.
- უნდა იცოდეს უკრაინული ენა.
- უნდა ქონდეს კანონიერი შემოსავლის წყარო.

ხორვატიაში:

- პირი უნდა ცხოვრობდეს ხორვატიაში ბოლო 5 წლის განმავლობაში.
- უნდა იყოს 18 წლის.
- უნდა დაადასტუროს, რომ წინა მოქალაქეობა აღარ გააჩნია.
- უნდა ფლობდეს ხორვატულ ენას.
- უნდა გამოამყდონოს ხორვატიის კულტურისა და სამართლის ცოდნა.

რაც შეეხება მოქალაქეობის შეწყვეტას, ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებშიც მოქალაქეობის შეწყვეტის 2 ფორმა მოქმედებს: ნებაყოფლობითი და იძულებითი.

მოქალაქეს შეუძლია ნებაყოფლობით შეიცვალოს მოქალაქეობა, გარდა იმ შემთხვევისა თუ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი. პირს მოქალაქეობიდან გასვლაზე უარი შეიძლება ეთქვას ასევე სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი მოვალეობის, სამხედრო ვალდებულების მოუხდელობის ან ქონებრივ ვალდებულებათა არსებობისას, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან.

მოქალაქეობის იძულებით დატოვება იმ შემთხვევაში ხდება:

- თუ პირი ცხოვრობდა უცხოეთში რამდენიმე წლის განმავლობაში და არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე.
- თუ მოქალაქეობა მიიღო ყალბი საბუთების წარდგენის გზით.
- თუ პირმა მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.
- თუ პირმა სხვა ქვეყნის სამხედრო, სამთავრობო და ა.შ. სტრუქტურებში დაიწყო სამსახური.
- თუ პირი მუშაობს უცხო ქვეყნის მთავრობასთან, რომელიც ზიანს აყენებს მისი ქვეყნის ინტერესებს.

გამონაკლისია პოლონეთი, რომლის კონსტიტუცია კრძალავს პოლონეთის მოქალაქეობის იძულებით დატოვებას.

ასევე გამონაკლისია ხორვატია. თუ ხორვატიის მოქალაქე ხდება სხვა ქვეყნის მოქალაქე, ის რჩება ხორვატიის მოქალაქედ მანამ, სანამ ის ოფიციალურად არ იტყვის ამაზე უარს.

ამ ქვეყნების მოქალაქეობის მიღების უფრო ვრცელი პროცედურა და შესაბამისი კანონმდებლობა იხილეთ დანართში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.legislationline.org/topics/topic/2>
2. <http://www.alfa.lt/straipsnis/c78697>
3. <http://www.mfa.gov.ua/mfa/en/publication/content/719.htm>

4. <http://www.litlex.lt/Litlex/Eng/Frames/Laws/Documents/55.HTM>
5. <http://www.coe.int>
6. [http://en.wikipedia.org/wiki/Citizen#European_Union_.28EU.29_citizen
ship](http://en.wikipedia.org/wiki/Citizen#European_Union_.28EU.29_citizen_ship)
7. http://en.wikipedia.org/wiki/Maastricht_Treaty